საქართველოს მთავრობის

დადგენილება №226

2019 წლის 15 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/02/2015, 040030000.10.003.018446) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს დეპარტამენტი შეიმუშავებს დეპარტამენტის მიერ მომდევნო კალენდარულ წელს განსახორციელებელი გეგმური შემოწმების გეგმას, რომელსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან (შემდგომში – მინისტრი) შეთანხმებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დეპარტამენტის უფროსი.“.

2. პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. გეგმური შემოწმების გეგმა შემუშავდება „რეგულირების ობიექტების გეგმური შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ საფუძველზე, რომელსაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**